საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**თარგმანმცოდნეობა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თარგმანმცოდნეობაში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: 180 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, 60 კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს ან სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობის შესწავლას. პროგრამა შედგება არჩევითი სასპეციალიზაციო მოდულებისაგან, ენის მიხედვით: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია - აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება თეორიული მომზადება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც სამომავლოდ გახდება საფუძველი მისი წარმატებული შრომითი კარიერისა. კურსდამთავრებულებმა დაეუფლებიან თარგმანის ზოგადი და კერძო თეორიების საფუძვლებს, შეისწავლიან თარგმანმცოდნეობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს, გამოიმუშავებენ სხვადასხვა ტიპის ტექსტის და თარგმნის განსხვავებული სახეობების უნარ-ჩვევებს. აგრეთვე მათ უყალიბდებათ ფილოლოგიური მეცნიერების საფუძვლები და სოციალიზაციისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევები: ტექსტთან მუშაობის უნარ–ჩვევები, ინფორმაციის აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვის არგუმენტირების უნარის ჩამოყალიბება; ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ამის საფუძველზე რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადება; სწავლისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიების გაცნობა.
სწავლის შედეგები **(ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)**	**I ცოდნა და გაცნობიერება:** 1) კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა თარგმან-ში, თარგმანმცოდნეობის ძირითადი თეორიების, ასევე ისტორიის ცოდნა; 2) თარგმანის სახეებისა და სტრატეგიების ცოდნა; 3)აქვს თარგმანის ზოგადი და კერძო თეორიების საფუძვლების ფართო ცოდნა, აცნობიერებს წერილობითი და ზეპირი თარგმანის კომპლექსურ საკითხებს; 4) ევროპული ენის ცოდნა B2 დონეზე, ჩამოყალიბებული აქვს შესაბამისი ენობრივი კომპეტენციები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა). 5) იცის შესაბამისი ევროპული ენის სტრუქტურული და ლექსიკურ–სემანტიკური თავისებურებები; 6) მსოფლიო (არჩეული მოდულის შესაბამისად), ლიტერატურა და კულტურა; 7) აქვს კრიტიკულად გააზრებული თანამედროვე თარგმან-ის მიღწევები არჩეულ სპეციალიზაციაში (მხატვრულ თარგმანში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსის თარგმანში, საბუთების თარგმანში და სხვ.). **II ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** 1.)კურსდამთავრებულს შეუძლია: მიღებული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკაში, მთარგმნელობითი საქმიანობა ევროპული ენიდან ქართულ ენაზე და -პირიქით; 2) საკუთარი აზრის გადმოცემა როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაციისას, რეფერატებში, საბაკალავრო და სხვა ნაშრომებში; 3) სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების გაგება, ანალიზი, რეფერირება, ინტერპრეტაცია და მომიჯნავე დისციპლინებში მიღებულ ცოდნასთან ინტეგრირება. 4)ფლობს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციებისა და გადაწყვეტილებების დაკვირვებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს და შეუძლია ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის მეშვეობით გამოყენებითი ხასიათის კვლევის ჩატარება ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; შეუძლია ტექსტების წერის, კითხვის, ინტერპრეტაციის და მთარგმნელობითი სტრატეგიების გამოყენება წყარო ენაზე შექმნილი ტექსტების სამიზნე ენაზე თარგმნისას. **III დასკვნის უნარი:** 1) კურსდამთავრებულს შეუძლია ფილოლოგიური მონაცემების (ზოგადად, კერძოდ კი თარგმანის სფეროში) შეგროვება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. 2) შესწევს კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის პროცესში. **IV კომუნიკაციის უნარი:** 1) კურსდამთავრებულს შეუძლია იდეების და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; მიღებული ცოდნის

	რეფერატებში, საკურსო და საბაკალავრო ნაშრომებში გამოყენება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ ენაზე; თარგმნა უცხოური ენიდან მშობლიურ ენაზე; 2)შეუძლია წარმატებული კომუნიკაცია და პრეზენტაცია შესაბამის ევროპულ ენაზე; თარგმნა და ინტერპრეტაცია მშობლიურიდან შესაბამის ევროპულ ენაზე; 3)ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეუძლია მათი გამოყენება, ზეპირი და წერითი პრეზენტაციები ქართულ და შესაბამის ევროპულ ენებზე. **V სწავლის უნარი:** 1) სტუდენტს შეუძლია გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა სასწავლო და გაცვლით პროგრამებში, საგრანტო პროექტებში და კონკურსებში მონაწილეობით. 2)შეუძლია თარგმანმცოდნეობაში შეძენილი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა. კერძოდ, შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, თარგმანმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და სხვა მიმართულებით. **VI ღირებულებები:** 1) კურსდამთავრებულს გაცნობიერებული და გათავისებული ექნება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, ტრადიციები, ჩამოყალიბდება ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი, კრიტიკულად მოაზროვნე თავისუფალი პიროვნება, რომელსაც აქვს ინტერკულტურულ ურთიერთობათა უნარი და აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. 2) შეეძლება კულტურათა მედიატორის, შუამავლის როლის შესრულება მულტილინგვურ კომუნიკაციაში; 3) გამომუშავებული ექნება მოქალაქეობრივი შეგნება და მზად იქნება მათ დასამკვიდრებლად პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
შეფასების წესი	**სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:** ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	ბსუ-ს პროფესორი **მარინე გიორგაძე** (+995) 577 17 97 99 marina_giorgaze@yahoo.com ბსუ-ს პროფესორი **მარინე არაშიძე** (+995) 577 14 10 30 marina.aroshidze@yahoo.com